

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი N1

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2015 წელი

სხდომას ესწრება სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის“ 2015 წელს 17 ივნისს არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს
შემდეგი წევრები:

1. ნესტან ეგეტაშვილი
2. არსენ ბურჯალიანი
3. მურად გარუჩავა
4. ირაკლი ჩაგანავა
5. სოფიკო ჩიტაური
6. შაქრო აბრამიშვილი
7. გივი გოგოძე
8. დავით კვაჭაძე
9. მანუჩარ დვალი
10. ლუდვიგ დაღანიძე
11. ვასილ ბაკაშვილი
12. ვასილ ლიპარტელიანი
13. დავით ლობჯანიძე
14. არჩილ სოლომნიშვილი
15. მურზა გუჯეჯიანი
16. გიორგი თხელიძე
17. ელისო კვანტალიანი

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის
არჩევა;
2. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების თარიღის და კანდიდატების
რეგისტრაციის პირობების დადგენა
4. სხვადასხვა.

სხდომა გახსნა დაწესებულების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ - ვლადიმერ ბოჟაძემ.

მოისმინეს:

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვლადიმერ ბოჟაძის განცხადება წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. მან წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის შედეგები, ინდივიდუალურად კანდიდატების მიხედვით. წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატებს მიულოცა გამარჯვება. ვლადიმერ ბოჟაძემ მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს, რათა მათი რიგებიდან ღიად აერჩიათ საბჭოს პირველი თავმჯდომარე და მდივანი. საბჭომ იმსჯელა და პირველი სხდომის თავმჯდომარეობა დააკისრა წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცეს წევრს - ლუდვიგ ლაღანიძეს. ხოლო სხდომის მდივანად არჩეულ იქნა საბჭოს წევრი - ნესტან ეგეტაშვილი.
2. ლუდვიგ ლაღანიძემ დააყენა საკითხი წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისათვის კენჭი ეყარად ღიად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად ხელის აწევით მხარი დაუჭირეს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობას.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი სპიკერის არჩევის შესახებ. საბჭომ იმსჯელა და ერთხმად გადაწყვიტა, რომ 2015 წლის 17 ივლისს 15:00 საათზე ჩატარდეს სპიკერის არჩევნები. ასევე განისაზღვრა კანდიდატებისათვის სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. კერძოდ: 1) განცხადება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე; 2) წარმომადგენლობითი საბჭოს სამი წევრის რეკომენდაცია, წარდგინება. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის კანდიდატის რეგისტრაცია იწარმოებს 2015 წლის 19 ივნისიდან 2015 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

საბჭომ დაადგინა:

1. პირველი სხდომის პირველი სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა;
2. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების თარიღი და კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები.

სხდომის ოქმი აწარმოა წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომის მდივანმა ნესტან ეგეტაშვილმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

პირველისხდომის თავმჯდომარე

ლ. ლაღანიძე

ლუდვიგ ლაღანიძე

წარმომადგენლობითი საბჭოს

პირველი სხდომის მდივანი

ნ. ეგეტაშვილი

ნესტან ეგეტაშვილი